

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

თეიმურაზ გორგოძე

საზარდულის თიაქარის ოპერაციული მკურნალობა მამაკაცებში, დიფერენცირებული
მიდგომა და პროგნოზირება

დისერტაცია

წარმოდგენილია მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები

ბიოლოგიის დოქტორი იამზე თაბორიძე

მედიცინის დოქტორი თამაზ გვენეტაძე

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი 4

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა..... 9

თავი II

მასალა და მეთოდები..... 31

თავი III

საკუთარი კვლევის შედეგები

3.1. საკუთარი მასალის დახასიათება..... 44

3.2.საზარდულის თიაქარის ოპერაციის გართულებათა შეფასება..... 52

3.3.კორელაციური კავშირი საზარდულის თიაქარის ოპერაციის გართულებასა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის.....	62
3.4.რეციდიული თიაქარის პროგნოზირება.....	75
3.5.სიცოცხლის ხარისხის შეფასება.....	82
3.6.ჯანმრთელობის მდგომარეობის პროგნოზი თიაქარპლასტიკის შემდეგ.....	116

თავი IV დასკვნა

განსჯა.....	118
-------------	-----

დასკვნები.....	126
----------------	-----

პრაქტიკული რეკომენდაციები.....	128
--------------------------------	-----

ლიტერატურის ნუსხა.....	129
------------------------	-----

შესავალი

კვლევის აქტუალობა

საზარდულის თიაქარის ოპერაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ოპერაციას. დიდია იმ პაციენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც სტაციონარში ხვდებიან უკვე გართულებული თიაქრით.

შესაფერისი ოპერაციის ტექნიკის შერჩევა დღემდე წარმოადგეს გამოწვევას.

მიუხედავად იმისა, რომ ჰერნიოპლასტიკაში დაუჭიმავი ტექნიკის მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწყო რეციდივებისა და გართულებების შემცირებას, ეს საკითხი დღემდე წარმოადგენს კვლევის საგანს. პრობლემა ეხება ლიხტენშტეინის მეთოდის დროს ბადის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს რეციდივების შემცირებას, თუმცა როგორც კვლევებმა აჩვენა, ამ დროს ადგილი აქვს ბადის კონტაქტს სათესლე ბაგირაკთან, რაც იწვევს ფიბროზულ რეაქციას და შემდგომში მეორად აზოოსპერმიას[51,135,122, 97,115].

გვენეტაძის მიერ შემუშავებულია მეთოდი, რომელიც ბადის გამოყენებისას უზრუნველყოფს ბაგირაკის გამოყოფას ბადისაგან, რაც განაპირობებს მამაკაცის უშვილობის თავიდან აცილებას[78].

აზრთა სხვადასხვაობაა ღია წესით და ლაპაროსკოპიული მეთოდით ჩატარებული ოპერაციების შედეგების მიხედვით - ლიტერატურის მიხედვით ლიხტენშტეინის მეთოდის დროს აღინიშნება ნაკლები განმეორებითი შემთხვევები, ვიდრე ლაპაროსკოპიული მეთოდის დროს ბილატერალური თიაქარის შემთხვევაში, სხვა შემთხვევებში უკეთესი შედეგებია ლაპაროსკოპიული მეთოდის დროს[158], ლაპარასკოპიულ და ღია მეთოდებს შორის გართულებებისა და რეკურენტული შემთხვევების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნება [107,120].

ლაპაროსკოპიული ოპერაციები ასოცირებული იყო საავადმყოფოში დაყოვნების მცირე ვადებთან, ადრეულ აქტივობასთან და საქმიანობასთან, აგრეთვე უფრო ნაკლებ ოპერაციის შემდგომ გართულებებთან. თუმცა, მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი იყო ოპერაციული ჩარევის დრო და აღინიშნებოდა განმეორებითი შემთხვევების ზრდის ტენდენცია[102]. გარდა ამისა, ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს შეიძლება კონტრალატერალური თიაქრის აღმოჩენაც და ოპერირება[40]. თუმცა აღსანიშნავია, რომ ლაპაროსკოპიული ტექნიკა მოითხოვს ზოგად ანესთეზიას და უფრო ხშირად არის დაკავშირებული სერიოზულ ინტრაოპერაციულ გართულებებთან, ვიდრე ღია პროცედურა, ხასიათებს ვისცერალური გართულებების უფრო მაღალი სიხშირე(განსაკუთრებით სისხლძარღვების და შარდის ბუშტთან დაკავშირებით), თუმცა რეაბილიტაცია მიმდინარეობს უფრო სწრაფად. რაც შეეხება რეციდივის შემცირებას - 30-50%-ით, იგი დაკავშირებულია მხოლოდ ბადის გამოყენებასთან და არა ოპერაციის მეთოდთან[101].

ქრონიკული ტკივილი ან დისკომფორტი რეგისტრირდება თიაქრის ოპერაციის შემდგომ პერიოდში პაციენტთა 30%-ში და სარწმუნოდ მეტია ღია ოპერაციების შემდეგ, ვიდრე ლაპაროსკოპიის შემთხვევაში, იგი ამცირებს ფიზიკურ აქტიურობას პაციენტთა 18%-ში[83].

ოპერაციის ეფექტურობის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს პაციენტის სიცოცხლის ხარისხი. დღეისათვის შეუძლებელია სრულყოფილად გამოვლინდეს ამა თუ იმ მეთოდის უპირატესობა ან ნაკლი, სიცოცხლის ხარისხზე მისი ზემოქმედების შესწავლის გარეშე[68].

სიცოცხლის ხარისხის გაგება მოიცავს ფაქტორთა ერთობლიობას, რომლებიც ასახავენ ინდივიდის ფიზიკურ, ფსიქიკურ, სოციალურ და როლურ, ანუ ფუნქციონალურ-ასოცირებული ცხოვრების ხარისხს. ერთიანი პრობლემის ჭრილში ასევე უნდა განვიხილოთ ადამიანის კომფორტულობის ხარისხი როგორც თავისთავად, ასევე საზოგადოებაში.

დღეისათვის არ არსებობს დასაბუთებული სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ოპერაციული ჩარევის კრიტერიუმებსა და ადექვატურ მოცულობას პაციენტის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, არ არის დადგენილი

ოპერაციის მეთოდების ზემოქმედება სიცოცხლის ხარისხზე, რაც განაპირობებს თემის აქტუალობას.

კვლევის მიზანია საზარდულის თიაქარის მკურნალობის თანამედროვე მეთოდების შეფასება და შედეგების პროგნოზირების სისტემის შემუშავება

ამოცანები:

1. საზარდულის თიაქრების მკურნალობის შედეგების შედარებითი ანალიზი ოპერაციის მეთოდების მიხედვით(ლიბტენშტეინის, გვენეტაძის და ლაპარასკოპიული მეთოდი);
2. გართულებისა რისკის ფაქტორების დადგენა და ფარდობითი რისკის შეფასება ოპერაციული მკურნალობის მეთოდებისა და პაციენტის ინიციალური მახასიათებლების მიხედვით;
3. რეკურენტული საზარდულის თიაქრის პროგნოზული მახასიათებლების შესწავლა.
4. კორელაციების განსაზღვრა გართულების რისკის ფაქტორებს შორის
5. მკურნალობის შედეგების პროგნოზირება პაციენტის ინიციალური მახასიათებლების გათვალისწინებით.
6. პაციენტების მიერ სიცოცხლის ხარისხის შეფასების შესწავლა ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების შემთხვევაში.

სამეცნიერო სიახლე:

პირველად საზარდულის თიაქარის ოპერაციის მეთოდების (ლიბტენშტეინის, გვენეტამის და ლაპარასკოპიული მეთოდების) მიხედვით

1. ჩატარდა საზარდულის თიაქრების მკურნალობის შედეგების ალტერნატიული ანალიზი;
2. დადგინდა გართულების რისკის ფაქტორები და შეფასდა ფარდობითი რისკი
3. მოხდა პაციენტების მიერ სიცოცხლის ხარისხის შეფასების შესწავლა ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ
4. შესწავლილ იქნა რეკურენტული საზარდულის თიაქრის პროგნოზული მახასიათებლები
5. განისაზღვრა კორელაციები გართულების რისკის ფაქტორებს შორის

პრაქტიკული (გამოყენებითი) ღირებულება:

პირველად საქართველოში ჩატარდა სიცოცხლის ხარისხის შეფასება SF-36 კითხვარით საზარდულის თიაქარის ოპერაციის შემდეგ. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა ოპერაციული მკურნალობის შედეგების (გართულებების, რეკურენტული რისკის, გამოსავლის) პროგნოზირების სისტემა პაციენტის ინიციალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგები მოგვცემს გართულებებისა და რეკურენტული თიაქარის რისკის ჯგუფების გამოყოფის საშუალებას, რაც პრევენციის საფუძველს წარმოადგენს.

შრომის შედეგების საფუძველზე დამყარებული პრაქტიკული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება საზარდულის თიაქარის გამოსავლის პროგნოზირებისა და არასასურველი შედეგის შედეგის თავიდან ასაცილებლად.

პუბლიკაციები და აპრობაცია:

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერონაშრომი, მათ შორის 1 საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალში.

1. თ.გორგოძე, თ. გვენეტაძე, ლ.ალადაშვილი, ა. უგრეხელიძე, ი.თაბორიძე. სიცოცხლის ხარისხის ფიზიკური კომპონენტის შეფასება საზარდულის თიაქარის ოპერაციის შემდგომ პერიოდში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია. ტ42; N3-4, 2016
2. თ.გორგოძე, თ. გვენეტაძე, ლ.ალადაშვილი, უგრეხელიძე, ი.თაბორიძე. თ.გვაზავა კორელაციური კავშირი საზარდულის თიაქარის ოპერაციის გართულებასა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის.ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა 2018, 4,
3. T. Gorgodze, T. Gvenetadze, A. Ugrehelidze, I. Taboridze. Evaluation of quality of life after inguinal hernia repair Gulustan black sea scientific journal of academic research, Tallinn, 2019,VOLUME 44 ISSUE 01
4. თ.გორგოძე, თ. გვენეტაძე, ა. უგრეხელიძე,საზარდულის თიაქარის რეციდივის რისკის შეფასება.სპექტრი 2019,1

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომში წარმოდგენილია 146 გვერდზე. შედგება: შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მასალა და მეთოდების, საკუთარი კვლევის შედეგების 6 ქვეთავისაგან, დასკვნითი ნაწილი მოიცავს მიღებული შედეგების განსჯას, დასკვნებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს. გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც მოიცავს 176 წყაროს. შედეგები ასახულია 45 დიაგრამასა და 11 ცხრილში.

თავი I

ლიტერატურის მიმოხილვა

საზარდულის თიაქარი ეწოდება საზარდულის არხში მუცლის ან მენჯის დრუს ორგანოების გამოსვლას საზარდულის შიგნითა გაფართოებული რგოლის ან გათხელებული ფსკერის გავლით, რაც იწვევს თვალთ შესამჩნევ გამობერილობას[39].

საზარდულის თიაქრებს ყოფენ ირიბ (თიაქრის პარკი მდებარეობს საზარდულის არხში სათესლის ბაგირაკის ელემენტებს შორის) და სწორ (თიაქრის პარკი მდებარეობს სათესლე ბაგირაკიდან შიგნით) თიაქრებად.

თიაქრების კლასიფიკაცია

I ტიპი, ირიბი საზარდულის თიაქარი, გვხვდება ძირითადად ბავშვებსა და ახალგაზრდებში, თიაქრის პარკი არ გამოდის თიაქრის არხის გარეთ საზარდულის რგოლი გაგანიერებული არ არის,

II ტიპი - ირიბი საზარდულის თიაქარი, მნიშვნელოვნად გაგანიერებული საზარდულის რგოლით, შეიძლება სრულად ავსებდეს საზარდულის არხს.

III ტიპი - ყველა სწორი საზარდულის თიაქარი, ახასიათებს ირიბი ფასციის სისუსტე და დაჭიმულობა, რაც იწვევს საზარდულის არხის უკანა კედლის დარღვევას.

IIIb - დიდი ზომის ირიბი საზარდულის თიაქარი, ამ დროს ადგილი აქვს საზარდულის არხის როგორც წინა, ისე უკანა კედლის დეფექტს. საზარდულის რგოლი გაგანიერებულია, ხშირად აღინიშნება დაცურებული თიაქრები, შეიძლება

ერთდროულად იყოს როგორც სწორი, ისე ირიბი თიაქარი, რასაც „პანტალონურ თიაქარს“ უწოდებენ

IIIc - ბარძაყის თიაქარი

IV ტიპი - რეციდიული პირდაპირი

IVb ტიპი - რეციდიული ირიბი

IVc ტიპი - რეციდიული ბარძაყის

IVd ტიპი - რეციდიული შერწყმული.

სიცოცხლეში საზარდულის თიაქარის განვითარების რისკი მამაკაცებში შეადგენს 27-43%-ს და მისი სიხშირე დაახლოებით 8-10-ჯერ უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. [51,35,65].

დაავადების რისკი იზრდება ასაკთან ერთად და რვაჯერ უფრო ხშირია დადებითი ოჯახური ანამნეზის მქონე პირებში. აღინიშნება- IH-ს დიაგნოზი პირველი ხარისხის ნათესავებში. განსაკუთრებით ქალებში [61,92].

ასაკის მიხედვით იცვლება თიაქარის ტიპების სიხშირეები: 5 წლის ასაკში აღინიშნება ირიბი თიაქარის პიკური პრევალენტობა, ხოლო 70-80 წლის ასაკში - ძირითადად პირდაპირი [60,65,43,93].

თიაქარის წარმოქმნის რისკის ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად - ზოგადად და ადგილობრივად, თავის მხრივ ზოგადი ფაქტორები განსაზღვრავენ მიდრეკილებას და დაავადების მანიფესტაციას, თავის მხრივ, ადგილობრივი ფაქტორები იყოფა თანდაყოლილ და შეძენილ ფაქტორებად [36].

თიაქარისადმი მიდრეკილებას განსაზღვრავს ადამიანის კონსტიტუცია, კერძოდ - სქესობრივი და ასაკობრივი თავისებურებანი, მუცლისა და მენჯის ფორმა, არასაკმარისად განვითარებული ორგანიზმი და სუსტი აგებულება - კუნთების

ტონუსი. მნიშვნელოვნად როლს ასრულებს შრომისა და ცხოვრების პირობები, სიმსუქნე ან სიგამხდრე. ასაკოვან ადამიანებში თიაქარის წარმოქმნის საფუძველია კუნთებში, აპონევროზებში, იოგოვან აპარატსა და ნერვიულ ბოჭკოებში ატროფიული პროცესების მიმდინარეობა.

საზარდულის თიაქარის განვითარების მთავარ ფაქტორად მოზრდილ მამაკაცებში მოიაზრება კოლაგენური უკმარისობით გამოწვეული განივი ფასციის დასუსტება. პაციენტთა უმრავლესობას განივი ფასცია ატროფირებული აქვს. კოლაგენის სინთეზის გენერალიზებულ დარღვევებს აღნიშნავდა R.C.Read (1992). მან აღმოაჩინა შემაერთებული ქსოვილის მეტაბოლური და ულტრასტრუქტურული დარღვევები, კოლაგენის საერთო რაოდენობის შემცირება და ფიბრობლასტების პროლიფერაციული უნარის დაქვეითება თიაქარის დროს[125].

ვარაუდობენ, რომ საზარდულის თიაქარი მოზრდილებში დაკავშირებულია ექსტრაცელულარული მატრიქსის დარღვევასთან, ცვლილებები აღინიშნება მაგალითად მეტალოპროტეინაზებსა და მათ ინჰიბიტორებში, აგრეთვე დაფიქსირებულია მატრიქსის მეტაპროტეინაზის სისტემური დონის გაზრდა[15,64,114].

პაციენტებისათვის დამახასიათებელია კოლაგენის მეტაბოლიზმის დარღვევა[14], კერძოდ - მცირდება III ტიპის კოლაგენის და ძლიერდება IV ტიპის კოლაგენის ცვლა ბაზალურ მემბრანაში კონტროლთან შედარებით[62]. შემცირებული კოლაგენის ტიპი I / III თანაფარდობა.

თიაქარის ოპერაციის დროს აღებული კუნთებისა და აპონევროზის ნიმუშების მორფოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა მთი ნაწიბუროვანი გადაგვარება, კოლაგენისა და ფიბროციტების გიალინიზებული კონების არსებობა ელასტიური და არგიროფილური ბოჭკოების სიმცირის ან სრული არარსებობის ფონზე[164]. საზარდულის თიაქარის წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიიჩნევა შემაერთებული ქსოვილის დისპლაზია[166].

გამოვლენილია თიაქრებისა და სხვა შემაერთებელ-ქსოვილოვანი დისპლაზიების, აგრეთვე თანდაყოლილი ორთოპედიული დაავადებების საერთო გენეტიკური საფუძველი ქართულ პოპულაციაში[6,172].

საზარდულის თიაქარის მაღალი სიხშირე აღინიშნება კოლაგენის ცვლასთან დაკავშირებული დისპლაზიური სინდრომების, მაგალითად იშვიათი შემაერთებელი ქსოვილის დისპლაზიის - ელერს-დანლოს სინდრომის დროს[94].

საზარდულის არხის კედლები მონაწილეობენ კუნთოვანი და მყესოვან-აპონევროზული წარმონაქმნების რეფლექტორულ მოქმედებაში, რომელიც წარმოიქმნება მუცლის პრესის დაჭმვის დროს და წინააღმდეგობას უწევს პერიტონეალურ არეში წნევის გაზრდას[172].

წნევის გაზრდა მუცლის ღრუში და მისი მკვეთრი ცვალებადობა მიეკუთვნებიან საზარდულის თიაქრის მიზეზობრივ ფაქტორებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს - ხანგრძლივი ხველის, ყაბზობის, გამწვანებული შარდვის, ხშირი ღებინების, მძიმე ფიზიკური შრომის, პროფესიული თავისებურებების გამო.

ლიტერატურის მიხედვით, რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება IH ფორმირებას შემდეგია:

- ქრონიკული ყაბზობა[132]; პროსტატექტომიის ისტორია - განსაკუთრებით ღია რადიკალური - [27, 29,41,77,87, 89,108,157,126,130], სიმსუქნე[57,160]. ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, სიგარეტის წევა, დაბალი მასის ინდექსი[127], ქრონიკული ხველა შესაძლოა აძლიერებდეს IH ფორმირების რისკს)[89] .

სოციო-ოკუპაციური ფაქტორები: არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულება, რომ სოციალური კლასი, ოპერაციის ფაქტორები და სამუშაო დატვირთვა მოქმედებს საზარდულის თიაქარის რისკზე. თიაქარის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს სიმძიმეების აწევა[145,154].

თიაქარის სარწმუნო რისკის ფაქტორს წარმოადგენს სიგარეტის წევა, პოსტოპერაციული ჭრილობის გართულება, ასაკი და მამრობითი სქესი[141].

ამერიკის შეერთებულ შტატებში საზარდულის თიაქრის კუმულაციური ინციდენტობა მამაკაცებში შეადგენს 13.9%-ს, ხოლო ქალებში 2.1%, ($p < 0.05$). იგი ასოცირებს 40–59 წ. (hazard ratio (HR) = 2.2, 95% (CI): 1.7, 2.8), ასაკთან და 60–74 ასაკთან (HR = 2.8, 95% CI: 2.2, 3.6), რასასთან - თიაქარის სიხშირე ნაკლებია შავკანიან მოზრდილებში, (HR = 0.58, 95% CI: 0.42, 0.79), ჭარბ წონასთან (HR = 0.79, 95% CI: 0.66, 0.95) და სიმსუქნესთან (HR = 0.51, 95% CI: 0.36, 0.71) ასოცირდებოდა ინციდენტობის შემცირება[131].

ირიბი თიაქარი გვხვდება ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე სწორი, საზარდულის თიაქარი აღინიშნება უფრო ხშირად მარჯვენა მხარეს[35]. ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი თიაქრები განსხვავდებიან იმით, რომ მხოლოდ პირდაპირი ასოცირდება ნაწიბუროვან თიაქართან[63], თუმცა განსხვავება არ აისახება მკურნალობაზე, ამდენად არ არის აუცილებელი მათი დიფერენცირება ოპერაციამდე[103,139].

231 პაციენტის გამოკვლევამ აჩვენა, რომ 69%-ს აწუხებდა დისკომფორტი საზარდულის არეში, 50%-ს პერისტალტიკის გაძლიერება, უსიმპტომო იყო 7%. პაციენტებს აწუხებთ ტკივილი საზარდულისა და სასქესო ორგანოების არეში, ტკივილი შარდვისას, პერისტალტიკისა და ტენეზმების გაძლიერება. ორი უკანასკნელი სიმპტომი უფრო ხშირად დამახასიათებელია მარცხენამხრივი თიაქარისათვის, მაშინ როდესაც შარდვის გაძნელება დამახასიათებელია უფრო მარჯვენამხრივი თიაქარისათვის[116].

მკურნალობა

ასიმპტომური და მინიმალურად სიმპტომური თიაქარის შემთხვევაში მისაღები მართვის სტრატეგიაა დაკვირვება, რადგან იგი უსაფრთხოა და არ წარმოადგენს ქირურგიული ოპერაციის ჩვენებას. თუმცა, ასეთ პაციენტებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იცოცხლებენ, აუცილებლად მოუწევთ ასეთი ოპერაციის გადატანა[134].

მკურნალობის მიზანს წარმოადგენს სიმპტომების შემცირება და პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება, ასევე ისეთი გართულებების თავიდან აცილება, როგორცაა ჩაჭედვა[99], ამდენად უსიმპტომო თიაქრებისათვის ოპერაციის ჩვენებად მიიჩნევა ჩაჭედვის რისკი, 10 წლიანმა დაკვირვებამ უსიმპტომო თიაქრებზე სტაციონარული ზომით აჩვენა, რომ ჩაჭედვის რისკი შეადგენდა 0,27%- 0,55%-ს[42,50].

საზარდულის ჩაჭედილი თიაქარი მეტად გავრცელებული ურგენტული პრობლემაა და გვხვდება მოსახლეობის 5-8%-ში, რაც მწვავე აპენდიციტისა და ქოლეცისტიტის შემდეგ ერთერთი ყველაზე გავრცელებული პათოლოგიაა. ხოლო ყველა სახის თიაქარებიდან საზარდულის ჩაჭედილი თიაქარი გვხვდება 50-65%[5],


პირველი ანატომიურად დასაბუთებული თიაქარკვეთა ჩაატარა იტალიელმა ქირურგმა ბასინიმ 1884 წელს.

თიაქარკვეთის აუტოპლასტიკური მეთოდები, რომლებიც შემუშავებული იქნა Shouldice, McVay, Halstead, Postempsky, -ის მიერ, წარმოადგენდნენ Bassini-ს მეთოდის მოდიფიკაციას. ადგილობრივი ქსოვილის გამოყენებით შესრულებული პლასტიკა ითვალისწინებს ქსოვილების დაჭიმვას კიდეების მიახლოებისას. ქსოვილის დაჭიმვა წარმოადგენს თიაქარის რეციდივის მთავარ მიზეზს.

ბევრად უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია საზარდულის თიაქრის დაუჭიმავი ტაქტიკა, რომელიც შემოთავაზებულია I.Lichtensteein-ის მიერ 1987 წელს[92].

ლიხტენშტეინის დაჭიმვის გარეშე (tension-free) კონცეფცია დამყარებულია ორ ძირითად პოსტულატზე, პრობლემებს თიაქარპლასტიკის დროს ქმნის - საზარდულის თიაქარის წინაპირობა ქსოვილების დეგენერაცია და ტრადიციული ჰერნიოპლასტიკის დროს ნაკერის ხაზის გასწვრივ ქსოვილების ჭარბი დაჭიმვა[168].

დღეისათვის ყველაზე მეტი ოპერაცია სრულდება ამ მეთოდით, მას კონკურენციას უწევს მხოლოდ დაუჭიმავი ენდოსკოპიური მეთოდები.



დაჭიმვის გარეშე ჰერნიოპლასტიკა სრულდება თანამედროვე ბადისებრი პროტეზის გამოყენებით,

ეს არის ბრტყელი

ბადე PROLENE იზოსტატიური

პოლიპროპილენისაგან, კომპოზიციური ბევრად

გაწოვადი

ბადეVIPRO , VIPRO

II და ULTRAPRO™, რომელთაც აქვთ ქსოვის



უფრო მსუბუქი სტრუქტურა და მაღალი ელასტიურობა, ასევე დონიანი ბადისებრი პროტეზი, სისტემა საზარდულის თიაქრის სამკურნალოდ PROLENE HERNIA SYSTEM (PHS), რომლითაც შესაძლებელია შესრულდეს ერთდროულად საზარდულის არხის წინა და უკანა კედლის გამაგრება.

ღია პრეპერიტონეალური ჰერნიოპლასტიკა ბადის გამოყენებით შეიძლება ჩატარდეს ჩაჭედილი თიაქრის დროსაც, თიაქრის შიგთავსის კონტამინაციის გარეშე, ბადის გამოყენება არ არის წინაღმდეგჩვენება ნაწლავის რეზექციის შემდეგაც[95].

ამჟამად, მსოფლიოში ქირურგთა უმრავლესობა ამჯობინებს საზარდულის თიაქრის ოპერაციისას ბადის გამოყენებას. დანიაში, ეროვნული სტატისტიკური მონაცემთა ბაზის მიხედვით, თიაქარპალსტიკის დროს ბადის გამოყენება ამჟამად 100% -ს შეადგენს[44]. შვედეთში, ბადის გამოყენება 99% -ს აღემატება[146] .

1980-იანი წლების დასაწყისიდან, თიაქარის მკურნალობას დაემატა ლაპაროსკოპიული ტრანსაბდომინალური პრეპერიტონეალური (TAPP) და სრულად ექსტრაპერიტონეალური (TEP) მეთოდები,

ლაპარო-ენდოსკოპიური ოპერაციების სიხშირე ვარიებს 0-დან 55%-მდე, მაქსიმალურია ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში. ავსტრალია (55%)[150], შვეიცარია (40%)[153], ნიდერლანდები (45%) და შვედეთი (28%)[146]. შვედეთის ეროვნული რეესტრის მიხედვით 2015 წლისთვის ფიქსირდება შემდეგი პროცენტული მაჩვენებლები: ლიხტენშტეინი - 64%, TEP - 25%, TAPP - 3%, ღია პრეპერატონული ბადით - 3.3%, კომბინირებული ღია და პრეპერიტონული - 2.7% და ქსოვილით აღდგენა - 0.8% -ით. გერმანიის თიაქარის რეგისტრატორი, რომელიც შეიცავს 200,000 პაციენტს (არ მოიცავს სრულად ეროვნულ რეესტრს, შეიძლება მიკერძოებული იყოს), 2009-2016 წლებისთვის ჰერნიოპლასტიკის სხვადასხვა მეთოდთა გამოყენების სიხშირეები შემდეგია: TAPP 39%, TEP 25%, Lichtenstein 24%, Plug 3%, Needice 2.6%, Gilbert PHS 2.5% და Bassini 0.2%.

დღეისათვის ოქროს სტანდარტად მიიჩნევა და რეკომენდაციას უწევს Lichtenstein-ის მეთოდის გამოყენებას American College of Surgeons[10], ბრიტანეთის National Institute of Clinical Excellence [NICE][106] და საფრანგეთის The National Agency for Accreditation and Evaluation in Health [ANAES][148]. მეთოდი მარტივია და ადვილად აღწარმოებადი[111], დაბალია რეციდივის რისკი[85], ასევე კარგი შედეგებია ენდო და ლპაროსკოპიული ოპერაციების დროს, ახასიათებთ მცირე პოსტოპერაციული ტკივილი და ჭრილობის ინფექცია. სწრაფი დაბრუნება აქტიურ ცხოვრებასა და სამსახურში[75].

თუმცა აქტუალური პრობლემაა აგრეთვე თიაქარპლასტიკის შემდგომი, ბადესთან ასოცირებული პრობლემები: მიგრაცია, აშრევება და დამოკლება, რაც თიაქარების მკურნალობის შემდგომი გართულებებია. მათი სიხშირე 1-8% შეადგენს[4].

მნიშვნელოვანია, რომ ბადის გამოყენებისას აღნიშნავენ უშვილობის რისკს[98,115,122, 35], თუმცა ზოგიერთი ავტორის მონაცემები ამ რისკს უარყოფს[17].

უშვილობა თიაქარკვეთის შემდეგ უფრო მაღალია, ვიდრე პოპულაციაში, ოპერაციის დროს სათესლე ბაგირაკის დაზიანება შეადგენს 0,3% მოზრდილებში და 0,8-2,0% ბავშვებში[51]. ტესტიკულის დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ატროფია, შეადგენს 0,5%-ს პირველადი თიაქარპლასტიკისათვის და იზრდება 10-ჯერ რეკურენტულის შემთხვევაში. ამდენად თვლიან, რომ ბადის გამოყენების შედეგად რეციდივების შემცირებას შეუძლია უშვილობის შემცირება[70].

ამჟამად, საზარდულის თიაქრის მკურნალობა არ არის სტანდარტიზებული. თიაქრის სამმა საზოგადოებამ ცალკ-ცალკე გამოაქვეყნა სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მიზნად ისახავს მკურნალობის გაუმჯობესებას და ზრდის თიაქარის მკურნალობაში ჩართულ ქირურგთა განათლებას. 2009 წელს ევროპის ჰერნიოლოგთა საზოგადოებამ (EHS) გამოაქვეყნა სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც მოიცავს საზარდულის თიაქრის მკურნალობის ყველა ასპექტს ზრდასრული პაციენტებში. EHS- ის სახელმძღვანელო პრინციპები განახლდა 2014[103] წელს. საერთაშორისო ენდო ჰერნიას საზოგადოებამ (IEHS) 2011 წელს გამოაქვეყნა ლაპარო-ენდოსკოპიური თიაქრპლასტიკის გაიდლაინები. 2013 წელს, ევროპის ენდოსკოპიური ქირურგიის ასოციაციამ (EAES) გამოაქვეყნა კონსენსუსის დოკუმენტი ლაპარო-ენდოსკოპიური მკურნალობის ასპექტებზე[24,118].

ამ სამი საზოგადოების თანამშრომლობით 2014 წელს გადაწყდა შექმნილიყო თიაქარის მკურნალობის უნივერსალური გაიდლაინი, “Groin Hernia Guidelines”, მასში პირველად იყო ჩართული ბარბაყის თიაქრები. პროექტს, რომელმაც მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი თიაქარის საკითხზე მომუშავე საზოგადოება, და EHS, IEHS და EAES დაერქვა - «HerniaSurge» ([http:// www. Herniasurge.com](http://www.Herniasurge.com)). ამ გაიდლაინის რეკომენდაციით, არჩევის მეთოდად მიღებულია თიაქარპლასტიკა ბადის გამოყენებით. სტანდარტული მიდგომა არ არის განსაზღვრული, შესაძლებელია როგორც ანტერიორული, ისე პოსტერიორული მიდგომა. საუკეთესოდ მიიჩნევა ლიხტენშტეინის და ლაპარო-ენდოსკოპიული მიდგომები. პირობებისა და რესურსების არსებობის შემთხვევაში ლაპაროსკოპიული მეთოდები აჩქარებენ გამოჯანმრთელების პროცესს და ამცირებენ ქრონიკული ტკივილის სიხშირეს. პაციენტის თანხმობის შემთხვევაში TAPP-ის დროს რეკომენდებულია კონტრალატერალური მხარის შემოწმება.

მოსალოდნელი შედეგების პაციენტთან განხილვის შემდეგ შესაძლებელია ქსოვილით (ბადის გარეშე) აღდგენა (არჩევის მეთოდია Shouldice ტექნიკა[66].

ლიხტენშტეინის დაუჭიმავი ჰერნიოპლასტიკა ზოგიერთი ქირურგის მიერ დღემდე მიიჩნევა უპირატეს მეთოდად[144]. თუმცა, რამდენადაც ლიხტენშტეინის მეთოდი მოიცავს ბადის გამოყენებას, რომელიც ორგანიზმისათვის წარმოადგენს უცხო სხეულს, ამასთან გააჩნია ფერტილობასთან დაკავშირებული სირთულეები, ავტორთა ნაწილი თვლის, რომ პრიორიტეტულია ჰერნიოპლასტიკა, რომელიც ტარდება ბადის გამოყენების გარეშე, ამ მხრივ უპირატესობას ანიჭებენ დესარდას მეთოდს[7,56]. არსებობს ლიხტენშტეინის მეთოდის მრავალი მოდიფიკაცია

ზოგიერთი ავტორის აზრით გადატანილი ჰერნიოპლასტიკა არ მოქმედებს სპერმის ხარისხზე[138]. ასევე აღნიშნავენ, რომ არა არის ცვლილებები სექსუალური ფუნქციის მხრივ[33]. თუმცა სპერმომორფოციტოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ცვლილებები აღმოაჩნდათ იმ 66 პაციენტს, რომელთაც თიაქარპლასტიკა გაუკეთდა ლიხტენშტეინის წესით. მეორე ჯგუფში(149 პაციენტი), რომელთაც გაუკეთდა ჰერნიოპლასტიკა ბაგირაკის სრული იზოლაციით გვენეტამის მეთოდით. ცვლილებები არ დაფიქსირებულა[3,167].

ქართული ავტორები

აღწერილია არჩვამის მე-2 წესით ღია პროთეზირებადი (დაჭიმვის გარეშე) თიაქარპლასტიკის ტექნიკა და განხილულია მისი გამოყენების ჩვენებები. კერძოდ: 1. ბიოპროთეზის იმპლანტაცია არჩვამის მე-2 წესით წარმატებით შეიძლება გამოყენებული იყოს, თუ გასაკერ ქსოვილთა აპროქსიმაცია ნაკერთა რიგის მნიშვნელოვან დაჭიმვასთან (საზარდულის უფრო მაღალი შუალედის არსებობისას) ან არასრულფასოვან (განლეულ, ფიბროზულად შეცვლილ, დევასკულარიზებულ) ქსოვილთა გაკერვასთან არის დაკავშირებული. 2. რეციდივული თიაქრის მკურნალობა, პირველადთან შედარებით, დიფერენცია-ინდივიდუალიზაციის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვს: ა) თუ წინა ოპერაციული ჩარევისას ნაწარმოები იყო საზარდულის არხის წინა კედლის პლასტიკა, ხოლო ქსოვილთა ატროფიის ხარისხი

და საზარდულის შუალედი მაღალი არ არის, მაშინ ნაჩვენებია პლასტიკა არხის უკანა კედლის გამაგრებით ან ახალი მიმართულების არხის შექმნით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ რეციდივი ბასინი-შოლდაისის ოპერაციის შემდეგ განვითარდა და ხერხდება ქსოვილთა ურთიერთადაპტაცია ნაკერთა რიგის მნიშვნელოვანი დაჭიმვის გარეშე, შესაძლებელია სუფთა ქსოვილოვანი პლასტიკა გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზის უფრო სრულად გამოყენებით (პოსტემპსკი-ჰალსტედი, კირშნერი, არჩვადე-1); გ) როდესაც სახეზეა საკუთარი პლასტიკური მასალის გამოხატული დეფიციტი, ატროფია, ნაწიბუროვანი ტრანსფორმაცია, საზარდულის მაღალი შუალედი, მაშინ ადრე ნაწარმოები ოპერაციის სახის განურჩევლად, ნაჩვენებია გარეშე პლასტიკა ან ლაპაროსკოპიული ტრანსაბდომინური პრეპერიტონიული ჰერნიოპლასტიკა[2].


გონადებსა და სათესლე ბაგირაკში პოსტჰერნიოპლასტიკური მორფოფუნქციური ცვლილებების შესწავლას არაერთი სამეცნიერო კვლევა ეძღვნება. მსოფლიოს მრავალი ექსპერიმენტატორი-ჰერნიოლოგი მიმართავს ულტრასონოგრაფიას, როგორც კვლევის მეთოდს, ოპერაციის შემდგომი ცვლილებების გამოვლენის მიზნით, მაგრამ ხშირად კვლევის დიამეტრულად განსხვავებული შედეგებს იღებენ და, აქედან გამომდინარე, მათი მეცნიერული დასკვნები ასევე რადიკალურად განსხვავებულია[1].

სადღეისოდ კვლევებით დადასტურებულია, რომ შემთხვევათა 45-59%-ში საზარდულის ალოჰერნიოპლასტიკა იწვევს სპერმატოგენული ფუნქციის და სათესლეს ჰორმონული ფუნქციის სარწმუნო დარღვევას. ქ. ჩერნოვცის სასწრაფო სამედიცინო დახმარების #1 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე 61 ავადმყოფს (ძირითადი ჯგუფი) ჩაუტარდა ოპერაცია შეთავაზებული მეთოდიკით (პატ. სასარგებლო მოდელზე #81728, უკრაინა). საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 63 ავადმყოფმა, რომელთაც საზარდულის თიაქარის პლასტიკა ჩაუტარდა I.L.Lichtenstein-ის მეთოდით. ყველა ავადმყოფის ასაკი იყო 19-61 წელი. ოპერაციის შემდგომ პერიოდში შეისწავლებოდა საბაზო აქტივობისა და შრომისუნარიანობის აღდგენის ვადები, ტკივილის სინდრომის ინტენსიურობა, სპეციფიკური გართულებების არსებობა, ოპერაციის შემდგომი საწოლ-დღეების ხანგრძლივობა, თიაქარის რეციდივის განვითარება. რეპროდუქციული ფუნქციის შეფასების მიზნით შესწავლილია სისხლის მიმოქცევის მდგომარეობა სათესლეს არტერიაში და სასქესო

ჰორმონების მაჩვენებლები. საზარდულის თიაქარის ქირურგიული მკურნალობის შეთავაზებული მეთოდი ამცირებს საზარდულის თიაქარის რეციდივის განვითარების მაჩვენებელს მუცლის წინა კედლის ერთ-ერთი სუსტი ადგილის - საზარდულის არხის ღრმა რგოლის ლიკვიდაციის ხარჯზე; ასევე, ჩქარდება პაციენტების სოციალური და შრომითი რეაბილიტაცია; პოსტოპერაციულ პერიოდში შენარჩუნებულია სისხლის მიმოქცევა სათესლეში და მამაკაცების ჰორმონული ფონი[136].

გვენეტაძის მეთოდი:

თიაქარის პარკის დამუშავების შემდეგ ვიწროვდება საზარდულის არხის შიგნითა რგოლი ქისისებრ ნაკერით. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქისისებრ ნაკერში განივი ფასციის მოყოლება და კვანძი უნდა შეიკრას „ჰალსტუხის“ მაგვარად, რომ არ მოხდეს ბაგირაკზე ზეწოლა (სურ. 1).



სურ.1, საზარდულის არხის შიგნითა რგოლის შევიწროვება

2. ბადის მოდელირება – ბადეში უნდა გამოიჭრას ფანჯარა, რომელიც ბაგირაკის


დიამეტრს აღემატება 0,3 – 0,5 სანტიმეტით, რათა არ მოხდეს კონტაქტი ბაგირაკთან.

3. მოდელირებული და ფანჯარა+გამოჭრილი ბადე ფიქსირდება უკანა კედელზე, როგორც ლიხტენშტეინის მეთოდის დროს.


4. ფანჯრის კიდეები ფიქსირდება საზარდულის არხის შიგნითა რგოლთან რამდენიმე კვანძოვანი ნაკერით, რათა აღმოიფხვრას ფანჯრის კიდეების „ფლოტირება“ (სურ. 2).

5. ბადის ფიქსაციის შემდეგ აპონევროზი იკერება ბაგირაკის უკან უწყვეტი ნაკერით.

6. ბაგირაკი თავსდება აპონევროზის ზემოთ, რითაც მიიღწევა ბაგირაკის სრული იზოლაცია ბადიგან. ბაგირაკის დაცვა ხდება ტომპსონი ფასციის გაკერვით, უწყვეტი ნაკერით.



ფანჯრის კიდეების ფიქსაცია



სათესლე ბაგირაკის
განთავსება აპონევროზის ზემოთ

ევროპის ჰერნიოლოგთა საზოგადოების გაიდლაინების მიხედვით, ბადის გამოყენებით ჩატარებული ოპერაციებისას რეციდივები მცირეა, ვიდრე ბადის გარეშე, ამიტომ მოზრდილ პაციენტებში ჰერნიოპლასტიკის სტანდარტს წარმოადგენს ლიხტენშტეინის მეთოდი ან ენდოსკოპიური/ლაპარასკოპიური ტექნიკა (თუ ქირურგი ფლობს აუცილებელ ცოდნას)[138,103], . თიაქარის დანიური რეესტრის მონაცემებით ბადით ჰერნიოპლასტიკა არ იწვევს უშვილობას[59] და რეკომენდირებულია 18-30 წლის მამაკაცებშიც[129].

რეციდივის რისკის ფაქტორები

საზარდულის თიაქარის რეციდივი აღენიშნება პაციენტთა 11%-ს[81]. თუმცა რეციდივის მიზეზები დღემდე ბოლომდე გარკვეული არ არის. რეციდივის მიზეზად მოიაზრება ქირურგიული ტაქტიკა, თუმცა ავტორთა ნაწილი თვლის, რომ არსებობს ქირურგიულ ტაქტიკისა და ოპერაციული ტექნიკისაგან დამოუკიდებელი მიზეზები - მუცლის ღრუში გაზრდილი წნევა, რომლის გამომწვევ მიზეზებს მიეკუთვნება მძიმე ფიზიკური შრომა, შარდვის გამწვანება, შეკრულობა, ხანგრძლივი ხველა[169], ასაკი[174], რისკის ფაქტორებში მოიაზრება თიაქარის სახეობა, ზომა და სიგარეტის წევა[35].

ჰერნიოპლასტიკის ღია ტექნიკა წარმოადგენს რეციდივის დამოუკიდებელ რისკის ფაქტორს[23], მამაკაცებში დაცურებული თიაქარი კორელირებს ოპერაციის შემდგომ რეციდივთან[12], განმეორებითი ოპერაცია სწორი თიაქრების შემთხვევაში გვხვდება ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ირიბის დროს[11].

რეკურენტული საზარდულის თიაქარის რისკის ფაქტორებია: სქესი[19,31, 34,47,80,89,155]; შეზღუდული ქირურგიული გამოცდილება[47,108,109]. ქირურგის მიერ ჩატარებული 5-ზე ნაკლები ჰერნიოპლასტიკა[110]. თუმცა, ეს უკანასკნელი რისკის ფაქტორი შეიძლება შეიცვალოს თრეინინგების საშუალებით[53], რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს, როდესაც იგი სრულდება ახალგაზრდა ქირურგების მიერ[30]. რისკის ფაქტორებია: მოცულობითი თიაქრის არსებობა[11].

ცუდი ქირურგიული ტექნიკის ფართო კატეგორიაში შედის: ბადით არასრული დაფარვა, ბადის არასწორი შერჩევა, არასაკმარისი ფიქსაცია და სხვა. პერიოპერაციული რისკის ფაქტორებისან - ადრეული პოსტოპერაციული ჰემატომა[97] და სასწრაფო ოპერაცია[73], გაურკვეველია ეთანოლის მაღალი სიხშირით მოხმარების ეფექტი[31]. აზრთა სხვადასხვაობაა ისეთი ფაქტორების ზემოქმედების შესახებ როგორებიცაა: ასაკი[142], COPD [76,71,97]

პროსტატექტომია[82], ქირურგიული მიდგომა[83,133], ციროზი[26], 84 ქრონიკული ყაბზობა[156], დადებითი ოჯახური ისტორია[9].

ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, ორმხრივი საზარდულის თიაქარის მკურნალობისას, ლაპაროსკოპიული მეთოდის გამოყენებისას ნაკლებია ოპერაციის შემდგომი ტკივილი, ნაკლებია სტაციონარში დაყოვნების ვადები და ოპერაციის შემდგომი გართულებები, რაც აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს[69].

ლაპარასკოპიული ოპერაციების მიმოხილვამ აჩვენა, რომ 16 წლის მანძილზე 1,194 ოპერაციიდან აღინიშნა 10% სერომა, 3% ჰემატომა, 1% სისხლდენა და 3% რეციდივი. არ დაფიქსირებულა ბადესთან დაკავშირებული მწვავე ინფექცია ან აბსცესი[39].

ლაპაროსკოპიული ოპერაცია გრძელდება დიდხანს, თუმცა დაკავშირებულია ნაკლებ გართულებებთან და სტაციონარში დაყოვნების შედარებით მცირე პერიოდთან[101,113].

გართულებები

მიუხედავად იმისა, რომ თიაქარპლასტიკა ითვლება შედარებით უსაფრთხო ოპერაციად, ისეთი გართულებების სიხშირე, როგორებიცაა ჰემატომები, სერომები, ნევრალგიები, სისხლმარღვების დაზიანებები, საკმაოდ მალაია.

ქირურგიული მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში წარმატებით ხორციელდება, თუმცა ქრონიკული ტკივილის გამო (რომელიც ზოგჯერ 10 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება) - პაციენტთა დაახლოებით 1-3% განიცდის მძიმე ქრონიკულ ტკივილს. ეს დიდ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის ხარჯებზე, 160 პაციენტის გამოკვლევამ, რომელთაც ჩაუტარდათ ლაპაროსკოპიული ჰერნიოლასტიკა, აჩვენა, რომ 23%-ს აწუხებდა ტკივილი სექსუალური აქტიურობის დროს, 17%-ის შემთხვევაში სექსუალური აქტიურობა დარღვეული იყო ზომიერად ან მნიშვნელოვნად. იმ პაციენტებს, რომელთაც

ოპერაციამდე აწუხებდათ ტკივილი, არ აღენიშნათ მნიშვნელოვანი შემცირება ოპერაციის შემდეგ[149]. სხვა მონაცემებით, ოპერაციის შემდეგ, ტკივილთან დაკავშირებული სექსუალური დისფუნქცია ოპერაციის შემდეგ 10-23%-დან მცირდება 4,5-10%-მდე, ამასთან ეს შემცირება უფრო მნიშვნელოვანია ენდოსკოპიური ოპერაციების შემდეგ, ვიდრე ლიხტენშტეინის შემთხვევაში[11,13, 134,162]. ტკივილი ადრეულ ოპერაციის შემდგომ პერიოდში წარმოადგენს რისკის ფაქტორს შემდგომი ქრონიკული ტკივილისათვის[18].

ოპერაციული მეთოდების შედარება

ზოგიერთი ქირურგი თვლის, რომ გართულებები ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს უფრო მძიმეა, მათ მიეკუთვნება მწვავე გაუვალობა. სისხლძარღვების დაზიანება, მძიმე ნევრალგიები, სასქესო ორგანოების დაზიანება,

ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს რეციდივის ძირითად მიზეზებად მოიაზრება: ქირურგის გამოუცდელობა, პერიპერიტონეალური სივრცის არასრული დისექცია, იმპლანტის მცირე ზომა, ბადის არაადექვატური ფიქსაცია[48,87].

2009 წლის ევროპული გაიდლაინის მიხედვით ლაპარო-ენდოსკოპიურ და ღია მეთოდებს შორის მინიმუმ 48 თვიანი შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის[139].

21 რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევის საფუძველზე ჩტარებულმა მეტაანალიზმა, რომლებშიც ჩართული ყო 3772 პაციენტი ლაპაროსკოპიული მკურნალობის ჯგუფიდან და 3910 პაციენტი ლიხტენშტეინის ჯგუფიდან აჩვენა, რომ ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს სარწმუნოდ მეტია ოპერაციის დრო, მაღალი იყო რეციდივების სიხშირე, დაბალი იყო ქრონიკული ტკივილის და ჭრილობის ინფიცირების სიხშირე. ჰემატომის, სერომებისა და გართულებების სიხშირეებს შორის სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა[91].

კოჰრანის კოლაბორაციის მიერ ჩატარებულმა მიმოხილვამ, რომელიც შედიოდა 25 კვლევა (მათ შორის 2 ბარძაყის თიაქრებზე)(6293 მონაწილე), აჩვენა, რომ ბადით აღდგენა ამცირებს თიაქრის რეციდივის რისკს (21 კვლევა, 5575 მონაწილე, RR= 0.46, 95% CI 0.26 დან 0.80, I2 = 44%, საშუალო ხარისხის მტკიცებულება). ოცდაოთხი კვლევის შემთხვევაში (6293 მონაწილე) შეფასდა სხვადასხვა დაკვირვების პერიოდის გართულებების ფართო სპექტრი. ნეიროვასკულური და ვისცელური დაზიანებები უფრო ხშირი იყო ბადის გარეშე ჯგუფებში (RR 0.61, 95% CI 0.49 დან 0.76, I2 = 0%, NNTB = 22, მაღალი ხარისხის მტკიცებულებები). (20 კვლევა, 4540 მონაწილე, RR 1.29, 95% CI 0.89 დან 1.86, I2 = 0%, NNTB = 200, მტკიცებულება ცუდი ხარისხის). ბადით აღდგენა ამცირებს ჰემატომის რისკს (15 კვლევა, 3,773 მონაწილე, ან 0.88, 95% CI 0.68- დან 1.13, I2 = 0%, NNTB = 143, დაბალი ხარისხის მტკიცებულება). თუმცა უფრო ხშირია სერომა (14 კვლევა, 2,640 მონაწილე, ან 1.63, 95% CI 1.03 დან 2.59, I2 = 0%, NNTB = 72, საშუალო მტკიცებულება), ასევე ჭრილობის შეშუპება (ორი კვლევა, 388 მონაწილე, RR=4.56, 95% CI 1.02-დან 20.48, I2 = 33%, NNTB = 72, საშუალო ხარისხის მტკიცებულებები). ჭრილობის შეუხორცებლობის შესახებ შედარებითი ეფექტი გაურკვეველია (2 კვლევა, 329 მონაწილე, 0.12-დან 2,5, I2 = 37%, NNTB = 77, მტკიცებულება დაბალი ხარისხის) . ტესტიკულების მიხედვით გართულებებს შორის განსხვავება სარწმუნო არ არის. (14 კვლევა, 3,741 მონაწილე; RR 1.06, 95% CI დან 0.63 დან 1.76, I2 = 0%, NNTB = 2000, მტკიცებულება დაბალი ხარისხის), ბადე ამცირებს პოსტოპერაციული შარდის შეკავების რისკს (რვა კვლევა, 1539 მონაწილე, RR 0.53, 95% CI დან 0.38 დან 0.73, I2 = 56%, NNTB = 16, საშუალო ხარისხის მტკიცებულება). პოსტოპერაციული და ქრონიკული ტკივილი არ შედარდა გაზომვის მეთოდებსა და დაკვირვების დროს განსხვავებულობის გამო. ოპერაციის ხანგრძლივობა მცირე იყო ბადის გამოყენების შემთხვევაში, 4 წუთი 22 წამი, საავადმყოფოში დაყვნების დრო მცირე იყო 0.6 დღით (12 კვლევა, 2966 მონაწილე, 95% CI -0.86 -0.34, I2 = 98%, ცუდი ხარისხის მტკიცებულებები) და ბადით ჰერნიოპლასტიკის შემდეგ პაციენტი შეიძლება დაბრუნდეს ნორმალურ საქმიანობას და ყოველდღიურ ცხოვრებას, საშუალოდ, 2.87 დღით ადრე, ვიდრე ბადის გარეშე(10 კვლევა, 3183 მონაწილე, 95% CI დან -4.42 to -1.32, I2 = 96%, მტკიცებულება დაბალი ხარისხის),

მოცემული კვლევის დასკვნები ასეთია: ბადით და ბადის გარეშე თიაქარის ქირურგიული მკურნალობისას, ორივე მეთოდი ავლენს უპირატესობებს სხვადასხვა თვალსაზრისით. ბადით ჰერნიოპლასტიკა ამცირებს თიაქარის რეციდივების სიხშირეს, ნეიროვასკულარულ და შინაგანი ორგანოების დაზიანებებს. ამცირებს კლინიკაში დაყოვნებისა და აქტიურ ცხოვრებაში დაყოვნების დროს. ზრდის სერომის განვითარების ალბათობას. დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში მასალების დაბალი ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს ბადის გარეშე მეთოდების ფართო გამოყენებას[96].

2009 წლის გაიდლაინის მიხედვით თიაქარპლასტიკა ბადით უმჯობესია ბადის გარეშე პალასტიკაზე, ამიტომ ბადის გარეშე პლასტიკა განიხილება მხოლოდ ახალგაზრდა მამაკაცებში ირიბი თიაქრით, ან მხოლოდ შეზღუდული რესურსების შემთხვევაში, როდესაც ბადე მიუწვდომელია.

თუმცა არსებობს მონაცემები, რომ პირველადი ჰერნიოპლასტიკის დროს დესარდას და ლიხტენშტეინის მეთოდები 3 წლის შედეგების მიხედვით მსგავსია[147].

ლაპარასკოპიულთან შედარებით ღია ოპერაციების უპირატესობას განსაზღვრავს რეალური ეფექტურობა. ენდოსკოპიური მეთოდის შესწავლა რთულია, მაშინ როდესაც ლიხტენშტეინის და სხვა ღია დსჭიმავი მეთოდების ათვისება და აღწარმოება ადვილია და არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძვირადღირებულ აპარატურას, შეიძლება შესრულდეს ადგილობრივი ანესთეზიით[38].

არასწორად შესრულებული პირველადი თიაქარკვეთა იწვევს ატროფირებული და მანკიერი კუნთოვანი და აპონევროზული ქსოვილების ტოპოგრაფიული ურთიერთმდებარეობის გადაგვარებას და დეფექტის გაზრდას, რაც ართულებს განმეორებით თიაქარპლასტიკას, ზოგიერთი კვლევის მიხედვით, რეკურენტული თიაქარისათვის გართულებები ღია და ლაპაროსკოპიული მეთოდებისათვის ერთნაირია[45], თუმცა ლაპაროსკოპიის დროს უფრო მცირეა რეაბილიტაციის პერიოდი და ტკივილი[28].

ლიტერატურის მიხედვით ლიხტენშტეინის მეთოდის დროს აღინიშნება ნაკლები განმეორებითი შემთხვევები, ვიდრე ლაპაროსკოპიული მეთოდის დროს

ბილატერალური თიაქარის შემთხვევაში, სხვა შემთხვევებში უკეთესი შედეგებია ლაპაროსკოპიული მეთოდის დროს[158], ლაპარასკოპიულ და ღია მეთოდებს შორის გართულებებისა და რეკურენტული შემთხვევების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნა[107,119]. The International Hernia Mesh Registry-ის მიერ 2086 პაციენტზე ჩატარებულმა კვლევამ რეციდივების მიხედვით ამ მეთოდებს შორის სარწმუნო განსხვავება ვერ გამოავლინა TEP (0.42%), TAPP (1.34%), და ML (1.27%)[21].

ლაპაროსკოპიული ოპერაციები ასოცირებული იყო საავადმყოფოში დაყოვნების მცირე ვადებთან, ადრეულ აქტივობასთან და საქმიანობასთან და უფრო ნაკლებ ოპერაციის შემდგომ გართულებებთან. თუმცა, მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი იყო ოპერაციული ჩარევის დრო და აღინიშნებოდა განმეორებითი შემთხვევების ზრდის ტენდენცია[102].

ზოგიერთი მონაცემებით, პირველადი ცალმხრივი თიაქარკვეთის შემთხვევაში არ აღინიშნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ანთებითი რეაქციის, ტკივილის ან სხვა გართულებების მიხედვით და ამდენად არ არსებობს უპირატესობა ლაპაროსკოპიურ თიაქარკვეთასა და ლიხტენშტეინის მეთოდს შორის[151].

შეფასებულ იქნა სისტემური ანთებითი პასუხი ღია და ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს. არსებობს რამდენიმე კვლევა შედარებით სისტემური ანთებითი რეაქციის შესახებ ლიხტენშტეინის ჰერნიოპლასტიკისა და TAPP ლაპაროსკოპური ჰერნიოპლასტიკის დროს, თუმცა შედეგები და დასკვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება. ასევე არ არსებობს ანთებითი მარკერების სტანდარტიზაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პოსტოპერაციული ანთებითი რეაქციის შესაფასებლად[159].

ზოგიერთი მკვლევარი TAPP- ისა და ლიხტენშტეინის თიაქარკვეთის შედარებისას აღინიშნავს, რომ ლაპაროსკოპიულმა ოპერაციამ გამოიწვია უფრო დაბალი სისტემური ციტოკინური რეაქცია, რაც ნაკლებად ტრავმატული ქირურგიული ჩარევის შედეგია. ანალოგიურად, Bender et al.[22]., და Bugada et al.[32] - ის მიერ ჩატარებულ კვლევებში ლაპაროსკოპიულმა ოპერაციებმა შედარებით დაბალი ანთებითი რეაქცია აჩვენა ისეთ ღია ტექნიკებთან შედარებით, როგორცაა Nyhus, Lichtenstein, Stoppa და Bassini. თუმცა, სხვა კვლევებმა ვერ აღმოაჩინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯგუფებს შორის[67]. თუმცა TEP-ის

შემდეგ აღინიშნება სექსუალური დისფუნქცია საზარდულის არეში ტკივილის გამო[58].

ამავე დროს უნილატერალური თიაქარკვეთა მოითხოვს მეტ დანახარჯებს ლაპაროსკოპიის დროს, ვიდრე ღია მეთოდების გამოყენებისას[104].

ბადესთან ასოცირებული გართულებების სიხშირე უფრო მეტია ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს, ვიდრე ლიხტენშტეინის შემთხვევაში. შარდის ბუშტის დაზიანება აღინიშნება უფრო ხშირად ლაპაროსკოპიული ოპერაციების დროს, ვისცერალური დაზიანებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სწორად განისაზღვროს იმპლანტაციის ადგილი, არ მოხდეს პირდაპირი კონტაქტი ბადესა და შინაგან ორგანოებს შორის[55].

სიცოცხლის ხარისხის შეფასება

დღეისათვის შორეული შედეგები ფასდება ისეთი მახასიათებლებით, როგორებიცაა ლეტალობა, სტაციონარში დაყოვნება, პეროპერაციული და ოპერაციის შემდგომი გართულებების არსებობა, ამავე დროს, ხშირად არ მიიღება მხედველობაში, რომ ყოველი კონკრეტულ პაციენტისთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო დაავადების სიმპტომების დინამიკას, ლაბორატორიულ მახასიათებლებს, რამდენადაც თვითშეფასების გაუმჯობესებას და ცხოვრებით კმაყოფილებას ფსიქოემოციურ და სოციალურ ასპექტში.

დღეისათვის შეუძლებელია სრულად შეფასდეს ოპერაციის რომელიმე მეთოდის უპირატესობა ან ნაკლი, მისი სიცოცხლის ხარისხზე ზემოქმედების შესწავლის გარეშე.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიცოცხლის ხარისხი წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის საკვანძო ცნებას, რომელიც იძლევა საშუალებას ჩატარდეს მრავალპროფილიანი ანალიზი ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი მდგენელებისა, მჯო-ს კრიტერიუმების შესაბამისად.

ითვლება, რომ სიცოცხლის ხარისხი მოიცავს ოთხ განსხვავებულ, თუმცა კორელაციაში მყოფ ნაწილს: ფიზიკურს - ფიზიკური თვითშეფასება — ჯანმრთელობისა და/ან ავადობის კომბინაცია; ფუნქციური -- ფუნქციური შესაძლებლობები - ადამიანის შესაძლებლობა განახორციელოს ქმედება, რომელიც განპირობებულია მისი მოთხოვნილებებით, ამბიციებითა და სოციალური როლით; ემოციური(ორპოლუსიანი მიმართულების ემოციური მდგომარეობა - შესაბამისად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგით, კეთილდღეობითა და დისტრესით. სოციალური სტატუსი(საზოგადოებრივი და ოჯახური აქტიურობა, რომელიც მოიცავს სოციალურ ხელის შეწყობას, ყოველდღიური აქტიურობის შენარჩუნებას, შრომისუნარიანობას, ოჯახურ მოვალეობებს და ოჯახის წევრებთან ურთიერთობას, სექსუალურობას, კომუნიკაბელურობას[175].

სხვადასხვა მეთოდით ჰერნიოპლასტიკამ აჩვენა, რომ ოპერაციის შემდეგ მცირდება ტკივილი, დისკომფორტი და უმჯობესდება სიცოცხლის ხარისხი[100]. ოპერაცია აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს მოხუცებულთა ასაკშიც[117].

23 კვლევის განხილვამ აჩვენა, რომ საზარდულის თიაქარის შემთხვევაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სიცოცხლის ხარისხზე (HRQL) ძირითადად მოქმედებს ტკივილი, (სოციალური ფუნქციონირება, ფსიქიკური ჯანმრთელობა)[155].

SF-36 კითხვარის მიხედვით HRQOL უმჯობესდება ტოტალური ტრანსაბდომინალური ექსტაპერიტონეალური თიაქარპალსტიკის (TEP) დროს ერთი წლის მანძილზე ფიზიკური ჯანმრთელობა (81.5 ± 25.6 vs. 91.8 ± 19.4 , $p = 0.02$), სოციალური ფუნქციონირება (87.4 ± 21.3 vs. 92.9 ± 15.3 , $p = 0.02$), და ტკივილი (78.2 ± 19.7 vs. 86.6 ± 15.9 , $p = 0.007$). აღნიშნავენ აგრეთვე სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას ოპერაციიდან 2 წლის შემდეგ[54].

საწყისი მახასიათებლების სიმძიმის მიუხედავად სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება აღინიშნება ღია დაუჭიმავი თიაქარპალსტიკის დროსაც[112].

ლაპაროსკოპიული და 150 ლიხტენშტეინის თიაქარპალსტიკის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ რეციდივი დაფიქსირდა 3%-ში TEP-ის დროს და 2% LR-ის დროს, სარწმუნოდ უკეთესი იყო ლაპაროსკოპიის შედეგები ფიზიკური ფუნქციის(=

0,0001), როლური ფიზიკური ფუნქციის ($<0,0001$), ტკივილის ($=0,0029$), ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის ($= 0,0025$), როლური ემოციური ფუნქციის მიხედვით ($<0,0001$). არ გამოვლინდა სარწმუნო განსხვავება სიცოცხლისუნარიანობის ($= 0,2501$), ფსიქიკური ჯანმრთელობის ($= 0,08$) და სოციალური ფუნქციონირების თვალსაზრისით ($= 0,1677$)[105].

ამრიგად, ლიტერატურის სიმრავლის მიუხედავად, თიაქარპლასტიკის ოპტიმალური მეთოდი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, რაც განაპირობებს ჩვენი კვლევის აქტუალობას

თავი II

მასალა და მეთოდები

ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 403 მამრობითი სქესის პაციენტი საზარდულის თიაქართ, რომელთაც ჩუტარდათ ჰერნიოპლასტიკა, მათ შორის 98-ს ლიხტენშტეინის მეთოდით, 74-ს გვენეტამის მეთოდით, 231-ს ლაპაროსკოპიის გამოყენებით.

პაციენტებს ჩუტარდათ გამოკვლევა ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტის მიხედვით. კვლევა შესრულდა ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრში(ქ. თბილისი), ჰელიოსის კლინიკაში(ქ.როტვაილი, გერმანია) კვლევის მეთოდები – ანამნეზი, კლინიკური, ექოსკოპიური, კლინიკურ-ლაბორატორიული.

ჩართვის კრიტერიუმები: მამრობითი სქესი, პაციენტები საზარდულის თიაქართ;

გამორიცხვის კრიტერიუმები: სისტემური და სიმსივნური დაავადებები.

ჩატარდა ღია არარანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა.

რომელთაც ჩუტარდათ საზარდულის თიაქრის ოპერაცია, კვლევა შესრულდა ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრში(ქ. თბილისი), ჰელიოსის კლინიკაში(ქ.როტვაილი, გერმანია). კვლევის მეთოდები – ანამნეზი, კლინიკური, ექოსკოპიური, კლინიკურ-ლაბორატორიული.


ჩართვის კრიტერიუმები: პაციენტები საზარდულის თიაქართ; ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე

გამორიცხვის კრიტერიუმები: სისტემური დაავადებები, სიმსივნური დაავადებები.

ჩატარდა ღია არარანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა.

კვლევა ჩატარდა შემდეგი კითხვარის მიხედვით:

კვლევის ალგორითმი



კვლევა წარმართა შემდეგი კითხვარის მიხედვით (ცხრილი 1.1.1)

ცხრილი 1.1.1

ასაკი		აბს
პროფესია	მძიმე ფიზიკური სამუშაო	კი(1), არა(0).
	მჯდომარე სამუშაო	კი(1), არა(0).
	პენსიონერი	კი(1), არა(0).
პროფესიული სპორტი	სიმძიმეების აწევა	კი(1), არა(0).
მავნე ჩევები	ალკოჰოლი	კი(1), არა(0).
	თამბაქო	კი(1), არა(0).
კვების ტიპი	უპირატესად ცხიმოვანი	კი(1), არა(0).
	უპირატესად ცილოვანი	კი(1), არა(0).
	უპირატესად ბოსტნეული	კი(1), არა(0).
	უპირატესად ნახშირწყლოვანი	კი(1), არა(0).
	ჭარბი საკვების მიღება	კი(1), არა(0).
	ჭარბი წონა	კი(1), არა(0).
კონსტიტუციური ტიპი	ჰიპოსთენიკი	კი(1), არა(0).
	ჰიპერსთენიკი	კი(1), არა(0).
	ნორმოსთენიკი	კი(1), არა(0).
თიანჯარის ტიპი	სწორი	კი(1), არა(0).
	ირიბი	კი(1), არა(0).
	კომბინირებული	კი(1), არა(0).
	დაცურებული	კი(1), არა(0).
	რეციდიული	კი(1), არა(0).
	მრავალჯერადი რეციდივი	კი(1), არა(0).

	მარჯვენამხრივი	კი(1), არა(0).
	მარცხენამხრივი	კი(1), არა(0).
	ორმხრივი	კი(1), არა(0).
	ჩასწორებადი	კი(1), არა(0).
შეფასება Nyhus-ის მიხედვით	I	კი(1), არა(0).
	II	კი(1), არა(0).
	IIIa	კი(1), არა(0).
	IIIb	კი(1), არა(0).
	IV a	კი(1), არა(0).
	Ivb	კი(1), არა(0).
	შეხორცებები	კი(1), არა(0).
	ლიპომატოზი	კი(1), არა(0).
ანამნეზი	1 წ.	კი(1), არა(0).
	1-5წწ.	კი(1), არა(0).
	>5წ	კი(1), არა(0).
გადატანილი ოპერაციები	ჰერნიოპლასტიკა	კი(1), არა(0).
	აპენდექტომია	კი(1), არა(0).
	მუცლის ტრავმასთან დაკავშირებული ოპერაცია	კი(1), არა(0).
	ქოლეცისტექტომია	კი(1), არა(0).
	კუჭის რეზექცია	კი(1), არა(0).
	ოპერაცია მსხვილ ნაწლავზე	კი(1), არა(0).
	ჰიპის/ვენტრალური თიაქარი	კი(1), არა(0).
თანდართული დაავადებები	შემაერთებელი ქსოვილის დისპლაზიის გამოვლინებები	კი(1), არა(0).
	ძვალ-სახსროვანი სისტემის	კი(1), არა(0).

	თანდაყოლილი ანომალიები	
	ნერვული სისტემის დაავადებები	კი(1), არა(0).
	ანემია	კი(1), არა(0).
	ალერგია	კი(1), არა(0).
	თირკმლის პათოლოგია/შარდვის გამწვანება/გახშირება.	კი(1), არა(0).
	კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები	კი(1), არა(0).
	ჩიყვი	კი(1), არა(0).
	დიაბეტი	კი(1), არა(0).
	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	კი(1), არა(0).
	პერიფერიულ სისხლძარღვთა დაავადებები	კი(1), არა(0).
	ჰიპოვიტამინოზი	კი(1), არა(0).
	ფოკალური ინფექციის კერები	კი(1), არა(0).
	მეტეორიზმი	კი(1), არა(0).
	ყაზოზი	კი(1), არა(0).
	გახანგრძლივებული ბრონქიტები	კი(1), არა(0).
ოპერაციის ტექნიკა	გვენეტამის	კი(1), არა(0).
	ლიბტენშტეინის	კი(1), არა(0).
	ლაპარასკოპიული	კი(1), არა(0).
<i>პერიოპერაციული გართულებები</i>	ბაგირაკის დაზიანება	კი(1), არა(0).
	შარდის ბუშტის დაზიანება	კი(1), არა(0).
	მსხვილი ნაწლავის დაზიანება	კი(1), არა(0).
	სისხლდენა ქვემო ეპიგასტრალური სისხლძარღვებიდან	კი(1), არა(0).

ოპერაციის შემდგომი გართულებები	შარდის შეკავება	კი(1), არა(0).
	გაუვალობა	კი(1), არა(0).
	ნევრალგიები	კი(1), არა(0).
	ჭრილობის ინფიცირება	კი(1), არა(0).
	ჰემატომა	კი(1), არა(0).
	ლიმფორეა	კი(1), არა(0).
	ჭრილობის დაგვიანებული შეხორცება	კი(1), არა(0).
	ტკივილი	კი(1), არა(0).
	სიმძიმის შეგრძნება	კი(1), არა(0).
	იმპლანტის მიგრაცია	კი(1), არა(0).
	სქესობრივი ფუნქციის დაქვეითება	კი(1), არა(0).
	ლიგატურული ფისტულა	კი(1), არა(0).
	რეციდივი	კი(1), არა(0).
სტაციონარში დაყოვნების ვადები		აბს
შედეგები	არადამაკმაყოფილებელი	კი(1), არა(0).
	დამაკმაყოფილებელი	კი(1), არა(0).
	კარგი	კი(1), არა(0).
	ძალიან კარგი	კი(1), არა(0).

გამოკვლევულ პაციენტთაგან 358 პაციენტმა შეავსო სიცოცხლის ხარისხის კითხვარი(მათ შორის: 81-ს ლიხტენშტეინის მეთოდით, 49-ს გვენეტადის მეთოდით, 228-ს ლაპაროსკოპიის გამოყენებით.) SF-36 ანკეტის მიხედვით(ცხრილი 2).

სიცოცხლის ხარისხის შეფასება ჩატარდა ოპერაციიდან 1 ± 0.6 წლის შემდეგ.

ანკეტა SF-36

1	როგორია თქვენი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა	ძალიან კარგი
		კარგი
		დამაკმაყოფილებელი
		ცუდი
		ძალიან ცუდი
2	როგორ შეაფასებდით თქვენს ჯანმრთელობას 1 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით	ბევრად უკეთესად
		უკეთესად
		ისევ ისე
		უარესად
		ბევრად უფრო უარესად
3. ზღუდავს თუ არა თქვენი დღევანდელი მდგომარეობა შემდეგი ფიზიკური დატვირთვის განხორციელებას?	A. მძიმე ფიზიკური დატვირთვა, სირბილი, სიმძიმის აწევა, ძალოსნური სპორტი	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	B. ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, მაგიდის გაგდადგმა, ბოულინგის, გოლფის თამაში	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	C. პროდუქტების ჩანთის აწევა და ტარება	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	D. კიბეზე ასვლა რამდენიმე სართულზე	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	E. კიბეზე ასვლა რამდენიმე სართულზე	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს

		არ ზღუდავს
	F. დახრა, ჩაჩოქება, ჩაკუზვა	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	G. 1 კმ-ზე მეტიმანძილის გავლა	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	H. რამდენიმე კვარტალის ტოლი მანძილის გავლა	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	I. 1 კვარტალის ტოლი მანძილის გავლა	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
	J. დამოუკიდებლად დაბანა და ჩაცმა	მნიშვნელოვნად ზღუდავს
		მეტ-ნაკლებად ზღუდავს
		არ ზღუდავს
4.უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეგექმნათ სიირთულეები სამსახურში და ყოველდღიურ საქმიანობაში:	A. იძულებული გახდით შეგემცირებინათ სამუშაო ან სხვა აქტივობის დრო	კი
		არა
	B. შეასრულეთ უფრო ცოტა, ვიდრე აპირებდით	კი
		არა
	C. იყავით შეზღუდული რომელიღაც კონკრეტული საქმიანობის დროს	კი
		არა
	D. შეგექმნათ სიირთულეები თქვენი სამუშაოს შესრულებისას (მაგ. დაგჭირდათ დამატებითი ძალისხმევა)	კი
		არა

5.უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში იყო თუ არა შემთხვევა, როდესაც თქვენი ემოციური მდგომარეობის გამო შეგექმნათ სიირთულეები სამსახურში და ყოველდღიურ საქმიანობაში:	A. იძულებული გახდით შეგემცირებინათ სამუშაო ან სხვა აქტივობის დრო	კი
		არა
	B. შეასრულეთ უფრო ცოტა, ვიდრე აპირებდით	კი
		არა
	C. სამუშაო ან სხვა აქტივობები შეასრულეთ ნაკლები გულისყურით	კი
		არა
6	უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში გიშლიდათ თუ არა თქვენი ემოციური და ფიზიკური მდგომარეობა ურთიერთობას ოჯახთან, მეგობრებთან, მეზობლებთან ან კოლექტივში?	არა
		მცირედ
		საშუალოდ
		მნიშვნელოვნად
		ძალიან
7	უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში რამდენად ძლიერ ტკივილს განიცდიდით.	არანაირი
		ძალიან მცირე
		მცირე
		საშუალო
		საშუალოზე ძლიერი
		ძალიან ძლიერი
8	უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში რამდენად გიშლიდათ ტკივილი ნორმალურ საქმიანობაში(სამსახურისა და	არანაირად
		მცირედ
		საშუალოდ
		საშუალოზე ძლიერად

	ოჯახის ჩათვლით)	ძალიან
9	a.გრძნობთ თუ არა თავს მხნედ?	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
	b.ძლიერ ნერვიულობდით თუ არა	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
	c.გრძნობდით თუ არა თავს დათრგუნულად	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
	d.გრძნობდით თუ არა თავს მშვიდად?	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
ზოგჯერ		
იშვიათად		
არასოდეს		
e.გრძნობდით თუ არა თავს ენერგიითა ძალით სავსედ	ყოველთვის	
	უმეტესწილად	
	ხშირად	
	ზოგჯერ	

		იშვიათად
		არასოდეს
	f.გრძნობდით თუ არა თავს სულიერად დაცემულად და დანადვლიანებულად	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
		g.გრძნობდით თუ არა თავს გატანჯულად
	უმეტესწილად	
	ხშირად	
	ზოგჯერ	
	იშვიათად	
	არასოდეს	
	h.გრძნობდით თუ არა თავს ბედნიერად	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
	i.გრძნობდით თუ არა თავს დადლილად	ყოველთვის
		უმეტესწილად
		ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
10	უკანასკნელი 4 კვირის განმავლობაში რამდენად ხშირად გიშლიდათ თქვენი ფიზიკური ან	ყოველთვის

	ემოციური მდგომარეობა ადამიანებთან აქტიურ ურთიერთობებს. (მეგობრების, ნათესავების მონახულებას)	ხშირად
		ზოგჯერ
		იშვიათად
		არასოდეს
11.რამდენად სწორად ან არასწორად მიგაჩნიათ თქვენს მიმართ შემდეგი ნათქვამი	ვფიქრობ რომ მე უფრო მიღრეკილი ვარ დაავადებებისადმი, ვიდრე სხვები	ნამდვილად სწორია
		ძირითადად სწორია
		ძირითადად არ არის სწორი
		არ ვიცი
		ნამდვილად არასწორია
	ჩემი ჯანმრთელობა სხვებისაზე უარესი არაა	ნამდვილად სწორია
		ძირითადად სწორია
		ძირითადად არ არის სწორი
		არ ვიცი
		ნამდვილად არასწორია
